ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №45

12.07.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419312-03; 11.07.2024);

2. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032418016-03; 28.06.2024);

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419314-03; 11.07.2024);

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების

ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032418490-03; 02.07.2024).

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419312-03; 11.07.2024).**

გ.თალაკვაძემ განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით (N980 10.07.2024წ) გამოყოფილი სახსრების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილის (N04-03/49759 28.06.2024 წ) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ნაწილში იზრდება ქონების გადასახადი - 20 000,0 ათასი ლარით და დამატებული ღირებულების გადასახადი - 10 000,0 ათასი ლარით, გრანტების ნაწილში იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 73,0 ათასი ლარით (ევროკავშირის საგრანტო ხელშეკრულების „ევროკავშირის გარე მოქმედებები“ ENI/2017/394-803 პირობების შესაბამისად საბოლოო ანგარიშსწორება) და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები) - 12 000,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 300,0 ათასი ლარით და სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 5 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 1 083,0 ათასი

ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 48 456,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 058 335,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

პროექტის თანახმად, იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 4 400,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა (კოდი 06 01 09) - 83,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 858 300,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 787 117,7 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო (165 096,0) ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419312-03; 11.07.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. **„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032418016-03; 28.06.2024):**

3. აბულაძე - „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ „მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტები“, მისი შეთანხმების წესი და პირობები იმოქმედებდა 2024 წლის 1 ივლისამდე.

დადგენილებით დამტკიცებული „ავტობუსებისათვის (M_2 ან M_3 კატეგორიის) სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების წესით“ დადგინდა იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელმა წერილობითი განცხადებით უნდა წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. ამ ნორმატიული აქტის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დღეის მდგომარეობით, სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტები დაუმტკიცდა მხოლოდ 4 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

მოსწავლეების სპეციალურ რეგულარულ გადაყვანაზე მოთხოვნა მზარდია, თუმცა სკოლებმა ვერ შეძლეს სრული მობილიზება. მათ საკმაოდ დიდი დრო სჭირდებათ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების შეძენისთვის ან იჯარით აღებისთვის, ასევე, ავტობუსების ძარის ვიზუალური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, რადგან საკრებულოს დადგენილების თანახმად, ავტობუსის ვიზუალი აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის მარშრუტების შეთანხმების პროცედურა ხანგრძლივდება 1 წლით.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- **„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032418016-03; 28.06.2024) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

3. **„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის,**

სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419314-03; 11.07.2024):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

<u>„ი) უზრუნველყოს ხაზზე გაშვებისას თითოეული ავტობუსის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, აგრეთვე კონდიცირების (გათბობის/გაგრილების) სისტემის გამართულად ფუნქციონირება;“.</u>

უნდა აღინიშნოს, რომ ზ/ა დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლი ადგენს სანებართვო პირობებს და ნებართვის მფლობელის უფლება-მოვალეობებს.

წარმოდგენილი ცვლილების მიზანია დაარეგულიროს და სამართლებრივად მოაწესრიგოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ავტობუსებში ზაფხულის თვეებში კონდიცირება-გაგრილების სისტემის მოქმედება და ამის შედეგად მგზავრთა კომფორტულად მგზავრობა.

იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ დაიცავს პროექტით შემოთავაზებულ სანებართვო პირობას, ამოქმედდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კოდექსის იმავე მუხლის შენიშვნის 1-ლი ნაწილის შესაბამისად <u>„ამ მუხლით გათვალისწინებული</u>

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი (უფლებამოსილი სამსახური, ფიზიკური ან იურიდიული პირი) უფლებამოსილია შემოწმება კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუზღუდავად განახორციელოს“.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- **„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419314-03; 11.07.2024) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

4. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032418490-03; 02.07.2024):**

დ.ჯაიანი - განკარგულების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა, გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელ იურიდიულ პირებს (შპს „თბილ ლაინი“ „კაპიტალ გრუპი“, შპს „თბილ ქარი“, შპს „ფაბლიქ ქარი“) შორის დასადები შეთანხმების პროექტი, „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით (განკარგულების დანართების შესაბამისად).

2021 წლის 25 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელ იურიდიულ პირებს შორის გაფორმდა შეთანხმებები ნებართვებთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე. შეთანხმებების მიზანი იყო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას გამოყენებული ავტობუსების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ავტობუსების პარკის ჩანაცვლება და ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის მომსახურების ეტაპობრივი ინტეგრირება სხვა საზოგადოებრივ სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურებებთან/ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემაში ჩართვა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მგზავრთა კომფორტზე ორიენტირებული თანამედროვე სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებას.

შეთანხმებების მიხედვით, ნებისმიერ დროს მხარეები გადახედავენ (გაზრდიან ან შეამცირებენ) დადგენილ კილომეტრზე ფასის განაკვეთს იმ შემთხვევაში, თუ დადგება შეთანხმებით გაწერილი რომელიმე გარემოება, მათ შორის თუ კონკრეტული წლისთვის საქართველოში დაფიქსირებული ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღემატება ამ წლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ წლიურ ინფლაციის მაჩვენებელს. კილომეტრზე ფასის განაკვეთის შეცვლა და კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის დადგენა განხორციელდება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, შეთანხმებების მიხედვითვე, გაწერილია პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების შეუსრულებლობისას, რომლის მიხედვით, ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმებისა, ნებართვის გამცემი ასევე უფლებამოსილია, ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობისთვის ნებართვის მფლობელს დააკისროს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობები და წესები ასევე გაწერილია შეთანხმებებში.

სანებართვო პირობების დარღვევის გამო, სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ნებართვების მფლობელების მიმართ შედგენილ იქნა საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, რომელთაგან ნაწილი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, კერძოდ: შპს „თბილ ლაინის“ მიერ გასაჩივრებულია 140 საჯარიმო ქვითარი (სულ 40800 ლარის ოდენობით), შპს „კაპიტალ გრუპის“ მიერ გასაჩივრებულია 59 საჯარიმო ქვითარი (სულ 17700 ლარის ოდენობით), შპს „თბილ ქარის“ მიერ გასაჩივრებულია 35 საჯარიმო ქვითარი (სულ 9900 ლარის ოდენობით), ხოლო შპს „ფაბლიქ ქარის“ მიერ გასაჩივრებულია 23 საჯარიმო ქვითარი (სულ 6900 ლარის ოდენობით). ამასთან, ზემოაღნიშნული შეთანხმებების შესაბამისად, ნებართვების მფლობელებს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაეკისრათ პირგასამტეხლოები: შპს „თბილ ლაინს“ - 638 550 (ექვსასოცდათვრამეტიათას ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, შპს „კაპიტალ გრუპს“ - 253 900 (ორასორმოცდაცამეტიათას ცხრაასი) ლარის ოდენობით, შპს „თბილ ქარს“

- 221 600 (ორასოცდაერთიათას ექვსასი) ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ფაბლიქ ქარს“ - 246 500 (ორასორმოცდაექვსიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

ამასთან, 2024 წლის 18 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელმა იურიდიულმა პირებმა და წერილებით წარმოადგინეს შპს „დელიოტი და ტუში“-ს მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნები მომსახურების ძირითადი საფასურის ხარჯების ელემენტების იდენტიფიკაციის და ინფლაციის მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლის სხვაობით ინდექსაციის შესახებ. სანებართვო შეთანხმების საფუძველზე და მასში მოცემულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ნებართვის მფლობელებმა წარმოადგინეს აუდიტორული კომპანიის დასკვნები, რომლის თანახმადაც, ნებართვის მფლობელებს ეკუთვნით მომსახურების ძირითადი საფასურის ინფლაციით ინდექსაცია. აღნიშნული ინდექსაციის შედეგად, განვლილ პერიოდზე, 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 მაისამდე უნდა მომხდარიყო ძირითადი საფასურის ზრდა - შპს „თბილ ლაინი“ – 2 692 034,95 (ორიმილიონ ექვსასოთხმოცდათორმეტიათას ოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ოდენობით, შპს „კაპიტალ გრუპი“ - 980 077,97 (ცხრაასოთხმოციათას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარის ოდენობით, შპს „თბილ ქარი“ - 786 361,82 (შვიდასოთხმოცდაექვსიათას სამასსამოცდაერთი ლარი და ოთხმოცდაორი თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ფაბლიქ ქარი“ - 1 450 635,12 (ერთიმილიონ ოთხასორმოცდაათიათას ექვსასოცდათხუთმეტი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარის ოდენობით, რომელიც დღემდე არ განხორციელებულა.

კომპანიები გამოთქვამენ მზაობას და იღებენ ვალდებულებას, უარი თქვან მომსახურების ძირითადი საფასურის, 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდში ზრდით მისაღები თანხების (შპს „თბილ ლაინი“ - 2 018 666,42 (ორიმილიონ თვრამეტიათას ექვსასსამოცდაექვსი ლარი და ორმოცდაორი თეთრი), შპს „კაპიტალ გრუპი“ - 734 822,05 (შვიდასოცდათოთხმეტიათას რვაასოცდაორი ლარი და ხუთი თეთრი), შპს „თბილ ქარი“ - 589 588,96 (ხუთასოთხმოცდაცხრაათას ხუთასოთხმოცდარვა ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი), შპს „ფაბლიქ ქარი“ - 1 088 016,28 (ერთიმილიონ ოთხმოცდარვაათას თექვსმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი)) უფლებაზე, სააგენტოს მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოების ანულირების სანაცვლოდ, ხოლო დაკისრებული ჯარიმები გადაიხადონ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

პროექტით წარსადგენი შეთანხმებების ხელმოწერის შედეგად ნებართვების მფლობელები არ გადაიხდიან სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაკისრებულ პირგასამტეხლოებს (ჯამში 1 360 550 ლარი): შპს „თბილ ლაინი“ – 638 550 (ექვსასოცდათვრამეტიათას ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, შპს „კაპიტალ გრუპ“ – 253 900 (ორასორმოცდაცამეტიათას ცხრაასი) ლარის ოდენობით, შპს „თბილ ქარ“ – 221 600 (ორასოცდაერთიათას ექვსასი) ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ფაბლიქ ქარ“ - 246 500 (ორასორმოცდაექვსიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“, რომლითაც თანხმობა ეძლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელ იურიდიულ პირებს შორის დასადები შეთანხმების პროექტი „კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის დადგენისა და პირგასამტეხლოს თაობაზე „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, განკარგულების დანართების შესაბამისად.

განკარგულების ამოქმედებისთვის საჭირო იქნება დამატებითი საბიუჯეტო სახსრები სახელშეკრულებო ურთიერთობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032418490-03; 02.07.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე